

საქართველოს მეცნერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ძველი ქართული ენის კათედრის გამგე, 150-მდე სამეცნიერო ნაშრომის, ლექსიკონებისა და სახელმძღვანელოების ავტორი, ძველი ქართული ენის ძეგლების გამომცემელი და რედაქტორი **ზურაბ სარჯველაძე** ათეული წლების განმავლობაში მუშაობდა ბიბლიური წიგნების ძველი ქართული თარგმანების ტექსტისა და ენის საკითხებზე. მისი სამეცნიერო ინტესესების სფერო მოიცავდა არა მარტო ლინგვისტურ პრობლემატიკას, როგორცაა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების ენობრივი თვალსაზრისით კვლევა, ძველი ქართული ენისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკვანძო საკითხების შესწავლა, არამედ ქართული პალეოგრაფიისა და კოდიკოლოგიის, ტექსტოლოგიის და ლექსიკოგრაფიის სფეროსაც. სხვადასხვა დროს მის მიერ გამქვეყნებული მრავალი ნაშრომიდან გამოვყოფთ რამდენიმეს:

მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, ძველი ქართული ტექსტის პუბლიკაცია:

- ხანმეტ და ჰამეტ ტექსტებში დადასტურებულ ზმნის პირიან ფორმათა საძიებლები, „მეცნიერება“, თბილისი, 1971.
- ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, „განათლება“, თბილისი, 1975.
- ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, „განათლება“, თბილისი, 1984.
- ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1997.
- ქართული პალეოგრაფია, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 1997 (თანავტორი კ. დანელია).
- მიხეილ ჯავახიშვილი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, „ცოდნა“, თბილისი, 1984.
- სავარჯიშო მასალა ძველ ქართულ ენასა და პალეოგრაფიაში, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1985.
- იაკობ ხუცესი, შუშანიკის წამება, გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ, კ. დანელიამ და ე. გიუნაშვილმა, „განათლება“, თბილისი, 1986.
- გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ, კ. დანელიამ და ე. გიუნაშვილმა (მეორე, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა), თბილისი, 1999.
- ეკლესიასტე (ეკლესიასტეს ძველი ქართული ტექსტი), ქართული მწერლობა, ტ. 1, თბილისი, 1987, გვ. 145-163.
- აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1987 (თანავტორი კ. დანელია).
- Gippert, Jost / Sarjveladze, Zurab / Kajaia, Lamara: The Old Georgian Palimpsest Codex Vindobonensis georgicus 2 edited by Jost Gippert in co-operation with Zurab Sarjveladze and Lamara Kajaia. (Monumenta Palaeographica Medii Aevi, Series Ibero-Caucasica, 1), 368 p.; Turnhout: Brepols 2007.
- იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, I, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, ლ. ალექსიძემ, ნ. დობორჯგინიძემ, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ლ. ნიჟარაძემ, ნ. შულაძემ, თ. ცოფურაშვილმა, გამომცემლობა „მერკური, თბილისი, 1993.
- იოანე ოქროპირი, განმარტება იოანეს სახარებისა, II, ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ზ. სარჯველაძემ, ლ. ალექსიძემ, ნ. დობორჯგინიძემ, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა, ლ. ნიჟარაძემ, ნ. შულაძემ, თ. ცოფურაშვილმა, გამომცემლობა „მერკური, თბილისი, 1993.
- ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ), (მეორე გამოცემა) „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2004.

- მათეს სახარება, გიორგი მთაწმიდლის რედაქცია, გამოსაცემად მოამზადეს და განმარტებები დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2004.
- მარკოზის სახარება, გიორგი მთაწმიდლის რედაქცია, გამოსაცემად მოამზადეს და განმარტებები დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2004
- ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა,“ „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა,“ გამოსაცემად მოამზადეს მიხეილ ქავთარიამ, ელენე ცაგარეიშვილმა და ზურაბ სარჯველაძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008, გვ. 25-149
- ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა,“ გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008, გვ. 151-244.
- ლეონტი მროველი, „წამება წმიდისა არჩილისი,“ გამოსაცემად მოამზადეს ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008, გვ. 247-250.
- მცხეთური ხელნაწერი I-V წიგნები, გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბილისი, 1981-1985 (რედაქტორი ზურაბ სარჯველაძე)
- The Old Georgian Four Gospels: Preatonian Redaction, on the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltvdze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999-2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.2002.
<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/cinant/cinan.htm>
- The Old Georgian Four Gospels: Giorgi the Athonite' Redaction (Giorgi the Hagiorite's), on the basis of the original manuscripts, edited by Elguja Giunashvili, Manana Machkaneli, Sofio Sarjveladze, Zurab Sarjveladze and Darejan Tvaltvdze, Tbilisi and Frankfurt a/M. 1999 -2002, ARMAZI version by Jost Gippert. Frankfurt a/M, 7.6.2000/26.9.20 <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etca/cauc/ageo/nt/giorn/giorn.htm>
- „ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, (ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით)თბ., 2003.

ლექსიკონები

- ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, I, (საქართველოს ისტორიის წყაროები 36), „მეცნიერება“, თბილისი, 1986 (თანაავტორები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაყოშია).
- ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, II, (საქართველოს ისტორიის წყაროები 42), „მეცნიერება“, თბილისი, 1986 (თანაავტორები: ა. სარჯველაძე, თ. ხაყოშია).
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით, ტ. I (ა-ლ), „არტანუჯი“, თბილისი, 2005.
- ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, ნარგიზა გოგუაძის, ზურაბ სარჯველაძისა და მზექალა შანიძის რედაქციით, ტ. II (მ-რ), „არტანუჯი“, თბილისი, 2007.
- ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 1990 (თანაავტორი ჰ. ფენრიხი).
- ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2000 (თანაავტორი ჰ. ფენრიხი).
- ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თსუ-ს გამომცემლობა, თბ. 1995

- ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, (ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა 5), თბუ გამომცემლობა, თბილისი, 2001
- Heinz Fänrich – Surab Sardschweladze, Etymologisches Wörterbuch der Kartwel-Sprachen, Leiden-New York-Köln: Brill, 1995.
- Surab Sarjveladze-Heinz Fänrich, Altgeorgisch-Deutsches Wörterbuch (Lexicographia Orientalis 5), Hamburg:Buske, 1999.

ბიზლიის ტექსტის კვლევასთან დაკავშირებული ძირითადი სტატიები

- ვენაში დაცული «ქებაჲ ქებათაჲს» ტექსტისათვის: მრავალთავი, X, თბილისი, 1983, გვ. 75-87.
- კიდევ ერთხელ ხანმეტობისა და ჰაემეტობის ურთიერთმიმართების შესახებ: ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1995, გვ. 125-132.
- ხანმეტობისა და ჰაემეტობის გადმონაშთები ზოგ ძველქართულ წერილობით ძეგლში: ენათმეცნიერების საკითხები, 3, თბილისი, 2001, გვ. 100-102.
- Für den sprachwissenschaftlichen Status der chanmeti Texte: Caucasia, 2, Tbilisi, 1998:86-92 (mit Jost Gippert).
- წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხი: თსუ ძველი ქართ. ენის კათ. შრ. 29, თბილისი, 2001, გვ. 109-133.

განსაკუთრებით გამოვყოფთ 2001 წელს გამოქვეყნებულ სტატიას „წყაროსთავის ოთხთავი და ქართული ოთხთავის ეფთვიმესეული რედაქციის საკითხი“, რომელშიც გამოთქმულია ახალი, სამეცნიერო ლიტერატურაში იქამდე მიღებული და გაზიარებული აზრის საწინააღმდეგო მოსაზრება. ოცდახუთზე მეტი წინათონური ხელნაწერის მონაცემთა შესწავლის შედეგად ზურაბ სარჯველაძემ დაადგინა, რომ ე.წ. ექვთიმეს რედაქციის ვარიანტული წაკითხვები არა მხოლოდ დასტურდება, არამედ უგამონაკლისოდ მისდევს X საუკუნის ხელნაწერებს (წყაროსთავის (X ს.), Sin.Geo.15 (978 წლის), Sin.Geo.16 (X ს.), Sin.Geo.30 (979 წლის), რომელნიც ექვთიმეს მოღვაწეობამდეა გადაწერილი და რომლებიც ტექსტუალური თვალსაზრისით ერთად დგანან. ზურაბ სარჯველაძის მოსაზრებით, ურბნისულ და პალესტინურ ოთხთავებში დაცული ტექსტი წყაროსთავის (X ს.), Sin.Geo.15 (978 წლის), Sin. Geo.16 (X ს.), Sin.Geo.30 (979 წლის) ხელნაწერებში დაცულ ტექსტებთან ერთად ერთ-ერთ ქვეჯგუფად თავსდება ჯრუჭ-პარხლის, იგივე ოპიზური რედაქციის ფარგლებში. ხელნაწერთა კოდიკოლოგიურ-ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ ამ ქვეჯგუფის ხელნაწერების ერთიანობა შედეგია ბერძნულ დედანთან შედარების გზით მიღებული იმ რევიზიისა, რომელიც ზ. სარჯველაძის აზრით, VIII საუკუნის I ნახევარში უნდა დასრულებულიყო. ამ დასკვნის საფუძველს კი აძლევს Sin.Geo.15-სა (978 წლის) და Sin.Geo.30-ში (979 წლის) გამოვლენილი ჰაემეტობის ნაშთები (სარჯველაძე ზ., 2001:125). ზურაბ სარჯველაძეს დამატებით არგუმენტად მოჰყავს გიორგი მთაწმინდლის ცნობილი ანდერძი იმის დასტურად, რომ ექვთიმე ათონელს ოთხთავის ტექსტის რევიზია არ ჩაუტარებია. გიორგი მთაწმინდელი ოთხთავის ქართული თარგმანის ანდერძში ასახელებს მანამდე არსებულ ორ ძველ რედაქციას, ხანმეტსა და საბაწმიდურს, მაგრამ არაფერს ამბობს ექვთიმეს მიერ ნარედაქტირებ ტექსტზე (ზ. სარჯველაძე 2001:127).

ზურაბ სარჯველაძის მიერ შექმნილი ოთხთავის ძველი ქართული თარგმანების შემსწავლელი სამეცნიერო ჯგუფი დღემდე აგრძელებს მისი დამაარსებლის და ხელმძღვანელის საფუძველჩაყრილ საქმეს და სახარებების ძველი ქართული თარგმანების კრიტიკული ტექსტის დადგენისა და გამოცემისას ხელმძღვანელობს მის მიერ შემუშავებული პრინციპებით.